ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო
საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი № 100

22 დეკემბერი 2020 წ. ქ.თბილისი. თავისუფლების მოედანი №2

13:00 სთ

ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომა გაიმართა იურიდიულ კომისიასთან ერთად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე - დავით უთმელიძე.

კომისიის წევრები: ლევან დავითაშვილი, ლევან არველაძე, ლევან ჟორჟოლიანი, ლევან დარახველიძე, ვახტანგ შაქარიშვილი, ვაჟა ოთარაშვილი.
სხდომას ასევე ესწრებოდა:

სსიპ ქონების მართვის სააგენტოდან - ირაკლი თავართქილაძე,მარიამ კვერნაძე

საფინანსო საქალაქო სამსახურიდან- გაიოზ თალაკვაძე, ლევან მიქავა

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება კომისიის წევრთა უმრავლესობა.

სხდომას თავმჯდომარეობდა დავით უთმელიძე

სხდომის თავ,ჯდომარე მიესალმა სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას, გააცნო მათ და დასამტკიცებლად წარუდგინა სხდომის დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1.ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად კომისიის ერთერთი წევრის არჩევის შესახებ.

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების გადანაწილების შესახებ (11-01203512069;11-01203563085 საკრ#17-032035259-03;15-032035714-03)

3. "ქალაქ თბილისში, მალხაზ აბდუშელიშვილის ქუჩა, N6-ში (ყოფილი სამოქალაქოს ქუჩა N6) მდებარე მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის (საკადასტრო კოდი: N01.16.06.065.053) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე (12-32034993-03)

4. "ქალაქ თბილისში, საინგილოს ქუჩა N31-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.02.059.063.01.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე " (12-32034993-03)

5. "ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, გაგრის ქუჩა N14-ში (საკადასტრო კოდი: N01.20.01.123.035.01.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე " (12-32034993-03)

6. "ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, დავით გურამიშვილის ქუჩა N26-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.07.003.070.01.002) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "

(12-32034993-03)

7. "ქალაქ თბილისში, შალვა მშველიძის ქუჩა N16-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.09.007.005.01.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე " (12-32034993-03)

8. ქალაქ თბილისში, თ. ერისთავის ჩიხის ტერიტორიაზე (ნაკვეთი N36/131, საკადასტრო კოდი: N01.12.08.036.161) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე. (#12-0320350168-03)

9. „ქალაქ თბილისში, გახოკიძის ქუჩა N8-ში (ნაკვეთი N05/040, საკადასტრო კოდი: N01.19.19.005.040) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე " (#12-0320350168-03)

10. ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზ. N18-26-ის მიმდებარედ რეგისტრირებული ტერიტორიიდან (ს/კ: 01.10.15.010.040) 53 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „კოფისტასთვის" (ს/კ: 404492330) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე (#12-032035312-03)

11. "ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების ქუჩა N1ბ-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.05.011.302.01.1003) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "(#12-032035647-03)

12. "ქალაქ თბილისში, გლდანის მასივში, I მიკრორაიონის კორპუს N3ბ-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.12.006.013.01.016) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე ""(#12-032035647-03)

13. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებისთვის 2021 წელს შრომითი ხელშეკრულებით ასაყვან პირთა წლიური სახელფასო ლიმიტის დაწესების შესახებ

დღის წესრიგი დამტკიცდა.

დავით უთმელიძემ კომისიის წევრებს განუმარტა, რომ კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში კომისიის თავმჯდომარის მოვალეობა უნდა შეასრულოს კომისიის ერთერთმა წევრმა და შესთავაზა მათ ლევან დარახველიძის კანდიდატურა.

კომისიის ყველა წევრმა მოიწონა დასახელებული კანდიტურა.

გადაწყვიტეს: კომისიის თავმჯდომარის არყოფნის დროს მისი მოვალეობა შეასრულოს ლევან დარახველიძემ.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების გადანაწილების შესახებ (11-01203512069;11-01203563085 საკრ#17-032035259-03;15-032035714-03)

საკითხი კომისიის წევრებს წარუდგინა გაიოზ თალაკვაძემ.

მან აღნიშნა, რომ ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის მოთხოვნით, „ტრანსპლანტაციის" პროგრამის ასიგნებას ემატება- 450 000 ლარი, „სოციალურად დაუცველი 18 წლამდე შსმ პირების დახმარების" პროგრამას- 30 000 ლარი, ხოლო „შეზღუდული შესაძლებლსბის მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობის" პროგრამას- 80 000 ლარი. დაბალანსება ხდება „სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროების დახმარების ღონისძიების" პროგრამის შესაბამისად შემცირებით. ცვლილება გამოწვეულია აღნიშნულო პროგრამებით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობის გაზრდის გამო.

ასევე წარმოდგენილია ინფრასტრუქტურის საქალაქო სამსახურის მიერ მოთხოვნილი ცვლილება, კერძოდ „კეთილმოწყობის საქალაქო ღონისძიებები" იზრდება - 855000 ლარით.თანხის გადმოტანა ხდება „საინჟინრო

ნაგებობების და ინფრასტრუქტურული ობოექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქციის“ პროგრამიდან. გადანაწილება დაკავშირებულია თბილისში, ტრანსპორტისა და გარემოს დაცვის სამსახურების მიერ მოწყობილ ახალ კუნძულებზე დეკორატიული სანათების მონტაჟისათვის, ასევე მოსკოვის გამზირზე გამყოფ კუნძულებზე მოაჯირების მოწყობისა და „მშვიდობის ხიდის“ მოვლა-პატრონობის მომსახურების სამუშაოებისათვის.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭსიყრაზე დააყენა საკითხი

მომხრე- 7

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილებით წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების გადანაწილების შესახებ“, სადაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარების და ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურები ითხოვენ მათზე მიკუთვნებულ პროგრამა/ქვეპროგრამებში ასიგნებების ცვლილებას, ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა გადაწყვიტეს:

“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის 30 დეკემბრის #20-85 დადგენილების დანართი 1-ის me-2 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად მიეცეს თანხმობა საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილების დანართების შესაბამისად პროგრამა/ქვეპროგრამების ასიგნებების გადანაწილების ცვლილებას.

დღის წესრიგით წარმოდგენილი ქონების საკითხები კომისიის წევრებს წარუდგინა ირაკლი თავართქილაძემ.

მოისმინეს: “ქალაქ თბილისში, მალხაზ აბდუშელიშვილის ქუჩა, N6-ში (ყოფილი სამოქალაქოს ქუჩა N6) მდებარე მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის (საკადასტრო კოდი: N01.16.06.065.053) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“

მოქალაქე სერგო თათარაშვილს სიმბოლურ ფასად საკუთრებაში გადაეცემა, ქალაქ თბილისში, მალხაზ აბდუშელიშვილის ქუჩა, N6-ში (ყოფილი სამოქალაქოს ქუჩა N6) მდებარე მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა. წარმოდგენილი დოკუმანტაციის მიხედვით მოქალაქე აქ ცხოვორბს 1993 წლიდან და საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, მას სხვა ალტერნატიული საცხოვრებელი ფართი არ უფიქსირდება.

მომხრე-7

კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და რეკომენდაცია მისცეს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: “ქალაქ თბილისში, საინგილოს ქუჩა N31-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.02.059.063.01.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე “

მოქალაქე მაია ქარსაულს, საკუთრებაში გადაეცემა საინგილოს ქუჩა №31-ში მდებარე 105,18 კვმ უძრავი ქონება. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, მოქალაქე აქ ცხოვრობს 2007 წლიდან და ის სხვა ალტერნატიულ საცხოვრებელ ფართს თბილისში არ ფლობს.

მომხრე-7

კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და რეკომენდაცია მისცეს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: "ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, გაგრის ქუჩა N14-ში (საკადასტრო კოდი: N01.20.01.123.035.01.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "

მოქალაქე დალი ლონდარიძეს საკუთრებაში გადაეცემა დაბა წყნეთში, გაგრის ქუჩა N14-ში მდებარე 265,35 კვმ უძრავი ქონება. მოქალაქე აქ ცხოვრობს 1998 წლიდან და საჯარო რესსტრტის მონაცემით თბილისში მას სხვა საცხოვრებელი ფართი არ უფიქსირდება.

მომხრე-7

კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და რეკომენდაცია მისცეს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: "ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, დავით გურამიშვილის ქუჩა N26-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.07.003.070.01.002) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "

მოქალაქე ციური კლდიაშვილს, საკუთრებაში გადაეცემა სოფელ ოქროყანაში, დავით გურამიშვილის ქუჩა N26-ში მდებარე 88,28 კვმ უძტავი ქონება. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მოქალაქე ამ ფართით სარგებლობს 1993 წლიდან. საჯარო რეესტრის ამონაწერით მას სხვა ფართი თბილისში არ უფიქსირდება.

მომხრე-7

კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და რეკომენდაცია მისცეს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: "ქალაქ თბილისში, შალვა მშველიძის ქუჩა N16-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.09.007.005.01.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "

მოქალაქე ლალი ძნელაძეს საკუთრებაში გადაეცემა შალვა მშველიძის ქუჩა N16-ში მდებარე 19,17 კვმ ფართი, რომლითაც ის სარგებლობს 1995 წლიდან. საჯარო რეესტრის მონაცემებით მას სხვა საცხოვრებელი ფართი არ უფიქსირდება.

მომხრე-7

კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და რეკომენდაცია მისცეს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, თ. ერისთავის ჩიხის ტერიტორიაზე (ნაკვეთი N36/131, საკადასტრო კოდი: N01.12.08.036.161) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

ქალაქ თბილისში, თ. ერისთავის ჩიხის ტერიტორიაზე 10 ოჯახს, რომლებიც წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით 2008 წლიდან ცხოვრობენ ამ ფართებში, სიმბოლურ ფასად საკუთრებაში გადაეცემათ საერთო ჯამში 509,74 კვმ საცხოვრებელი ფართი (თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის №20.1456.1775 განკარგულება)

მომხრე-7

კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და რეკომენდაცია მისცეს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოიმსინეს: „ქალაქ თბილისში, გახოკიძის ქუჩა N8-ში (ნაკვეთი N05/040, საკადასტრო კოდი: N01.19.19.005.040) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "

მოქალაქეებს ეთერ ტატიურს და თამარ ყაზახაშვილს, სიმბოლურ ფასად საკუთრებაში გადაეცემათ გახოკიძის ქუჩა N8-ში მდებარე უძრავი ქონება. ეთერ ტატიური ამ საცხოვრებელ ფართს (49,73 კვმ) ფლობს და სარგებლობს 1998 წლიდან , ხოლო თამარ ყაზახაშვილი საცხოვრებელ ფართს(54,70 კვმ) ფლობს და სარგებლობს 2008 წლიდან. არცერთ მათგანს საჯარო რეესტრის მონაცემებით თბილისში სხვა საცხოვრებელი ფართი არ უფიქსირდებათ.

მომხრე-7

კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და რეკომენდაცია მისცეს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზ. N18-26-ის მიმდებარედ რეგისტრირებული ტერიტორიიდან (ს/კ: 01.10.15.010.040) 53 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „კოფისტასთვის" (ს/კ: 404492330) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზ. N18-26-ის მიმდებარედ რეგისტრირებული ტერიტორიიდან (ს/კ: 01.10.15.010.040) 53 კვ.მ. მიწის ნაკვეთი შპს „კოფისტას" გადაეცემა იჯარით , ღია კაფეს მოსაწყობად. აღნიშნული კომპანია იჯარით ფლობს მიმდებარედ არსებულ უძრავ ქონებას: ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზ. N22გ-ში მდებარე 47 კვ.მ. ფართობის უძრავ ქონებას (ს/კ: 01.10.15.010.007), ხუთი წლის ვადით, უძრავი ქონების მესაკუთრესთან 2020 წლის 27 ივლისს დადებული იჯარის ხელშეკრულებით. წარმოდგენილი განკარგულების პროექტით განიხილება მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემა 2025 წლის 27 ივლისამდე ვადით, წლიური საიჯარო ქირის საფასურით 7700 ლარის ოდენობით.

მომხრე-7

კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და რეკომენდაცია მისცეს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: "ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების ქუჩა N1ბ-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.05.011.302.01.1003) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე

გლდანის რაიონის გამგეობის მიერ დაყენებულია შუამდგომლობა თბილისში, გმირი კურსანტების ქუჩა N1ბ-ში, პირველ სართულზე მდებარე 65.84 კვ.მ ფართის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით, მოქალაქე ბეჟანი ყვავაძისთვის საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით ბეჟანი ყვავაძე ოჯახთან ერთად 2012 წლიდან ცხოვრობს ზემოაღნიშნულ მისამართზე. სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წერილით ბეჟან ყვავაძეზე და არც მისი ოჯახის წევრებზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე რეგისტრირებული არ არის;

მომხრე-7

კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და რეკომენდაცია მისცეს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: "ქალაქ თბილისში, გლდანის მასივში, I მიკრორაიონის კორპუს N3ბ-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.12.006.013.01.016) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე

გლდანის რაიონის გამგეობის მიერ დაყენებულია შუამდგომლობა თბილისში, გლდანის მასივში, I მიკრო/რაიონის, კორპუს N3ბ-ში მესამე სართულზე მდებარე ბინა N16-ის, ფართით 41.96 კვ.მ პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით, მოქალაქე ლალი ჩალაძისთვის საკუთრებაში გადაცემა. შსს-ს 2018 წლის 10 ოქტომბრის ცნობით ,აღნიშნული პირი მითითებულ მისამართზე ცხოვრობს დაახლოებით 20 წელზე მეტია, ხოლო ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა იმედის კრების ოქმით კი 1989 წლიდან.

მომხრე-7

კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და რეკომენდაცია მისცეს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებისთვის 2021 წელს შრომითი ხელშეკრულებით ასაყვან პირთა წლიური სახელფასო ლიმიტის დაწესების შესახებ

საკითხთან დაკავშირებით დავით უთმელიძემ განმარტა, რომ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად ყოველწლიურად უნდა დაწესდეს ფრაქციებისთვის შრომითი ხელშეკრულებით ასაყვან პირთა წლიური სახელფასო ლიმიტიები. შესაბამისად წარმოდგენილია ფრაქციებისათვის 2021 წლის ლიმიტები, რაც ფაქტიურად არ არის შეცვლილი.

მომხრე-7

კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და რეკომენდაცია მისცეს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე **დავით უთმელიძე**